



სსიპ ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

26 02 2019 წ.

ბრძანება № 2-27

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლაში შეიქმნას მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:
 - 1.1. ელზა ბადაშვილი - სკოლის დირექტორი - მრჩეველთა საბჭოს წევრი;
 - 1.2. ევგენი ბენდიანიშვილი - მანდატური - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
 - 1.3. ეკატერინე ვარდოსანიძე - სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე - მრჩეველთა საბჭოს წევრი;
 - 1.4. ლიანა ქინქლაძე - პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე - მრჩეველთა საბჭოს მდივანი;
 - 1.5. ეკატერინე ანჯაფარიძე - დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე - მრჩეველთა საბჭოს წევრი;
 - 1.6. მარიამ დოლიაშვილის - მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე - მრჩეველთა საბჭოს წევრი ;
 - 1.7. თამარ სესიტაშვილი - ქ. თბილისის გლდან-ნაძალადევის რ-ნი რესურსცენტრის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მრჩეველთა საბჭოს წევრი;
2. დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მრჩეველთა საბჭოს კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი პროცედურების განხორციელება:
 - 2.1. განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები და წარუდგინოს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირებისთვის;
 - 2.2. განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლის, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიანი ანგარიში და მასზე დაყრდნობით

შეიმუშავოს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ანგარიში, რომელსაც წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის;

2.3. მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით;

2.4. შეიმუშავოს ინიციატივები სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარების შესახებ და წარუდგინოს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის;

3. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო
სკოლის დირექტორი:



/ელზა ბადაშვილი/

